აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'', საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი N7 ოქმის და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პირობებით ნასყიდობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2016 წლის 4 აპრილის N9 ხელშეკრულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გაუქმდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების პირობებით ელექტრონული აუქციონის შედეგები (გამარჯვების დამადასტურებელი N7 ოქმი, ამ ოქმის საფუძველზე 2016 წლის 4 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და იაშა ლექვინაძეს შორის გაფორმებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, პირობებით ნასყიდობის უფლებით გადაცემის №9 ხელშეკრულება და შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა N8).

2. დაუბრუნდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. მაღლაკში (ს/კ 29.10.33.076) მდებარე უძრავი ქონება -50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

3.ეცნობოს მოქალაქე იაშა ლექვინაძეს, რომ არ უბრუნდება გადახდილი თანხა, არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

4. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (მ. კანკაძეს).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

7. ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM